

**ქორეოგრაფ - რეპეტიტორი 080751
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

ქორეოგრაფ - რეპეტიტორი წარმოადგენს ხელოვნების მიმართულების ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგობრივი სფეროს პროფესიულ კვალიფიკაციას. ქორეოგრაფ - რეპეტიტორის პროფესიის მიზანია ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგის პრინციპებისა და საშემსრულებლო-შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარების გამოყენება შემდგომ საქმიანობაში. ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიული ამოცანაა ქორეოგრაფიული ტექნიკის შეგნებული და გააზრებული გამოყენება და საცეკვაო ოსტატობის სწავლება, სტუდენტთა მომზადება საცეკვაო ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთვის (ეთნიკური, კლასიკური და თანამედროვე ცეკვის დარგში).

II. დასაქმების სფერო

ქორეოგრაფ - რეპეტიტორის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს: ნებისმიერი თვითმოქმედების ქორეოგრაფიულ ანსამბლთან, კოლექტივთან, ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან, როგორც რეპეტიტორს, ხელმძღვანელის ასისტენტს და ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით რეპეტიტორ-ქორეოგრაფს. შეუძლია იმუშაოს საბალეტო დასთან, ჩამოაყალიბოს სტუდია (კლასიკური, სახასიათო, სამეჯლისო, თანამედროვე თუ ეთნიკური) ცეკვების.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება
- შემოქმედებითი ტურირი

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ქორეოგრაფ - რეპეტიტორის პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი (IV, V). თითოეულ საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეოთხე დონის ქორეოგრაფ - რეპეტიტორის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. კრედიტების 60% ეთმობა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას და მასთან დაკავშირებული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 40% - საშემსრულებლო - შემოქმედებით პრაქტიკას. კვალიფიკაცია - ქორეოგრაფ - რეპეტიტორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მეხუთე დონის ქორეოგრაფ - რეპეტიტორის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. კრედიტების 60% ეთმობა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას და მასთან დაკავშირებული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 40% - საშემსრულებლო - შემოქმედებით პრაქტიკას. კვალიფიკაცია - ქორეოგრაფ - რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის

პროფესიული კვალიფიკაცია.

V. ქორეოგრაფ- რეპეტიტორის კვალიფიკაციის აღმწერი

ქორეოგრაფ- რეპეტიტორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>აქვს ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიული თუ თეორიული ასპექტების საფუძვლების ცოდნა; აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და სპეციალურ-პროფილური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. მოწოდებას ცეკვაში ხედვას/ამბიციას ცეკვაში სდებს; უყვარს თავისი პროფესია და შთაგონებით მუშაობს. მუშაობისას საცეკვაო ხელოვნების საკუთარი ხედვიდან ამოდის და ამ ხედვის განვითარება/განვრცობა შეუძლია.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად. საკუთარ პროფესიულ სფეროში თვალსაზრისის და შეხედულებების გამომუშავების უნარი გააჩნია და აქვს მოთხოვნილება, რომ ეს შეხედულებები საცეკვაო (თეატრალურ) ხელოვნებაში გამოიყენოს და განახორციელოს. შეუძლია საკუთარი კონცეფციების და მხატვრული (ან ქორეოგრაფიული) ჩანაფიქრის ცეკვად გარდასახვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. შეუძლია შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით პრობლემის მოსაგვარებლად ალტერნატიულ გზების განხილვა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. შეუძლია სამუშაოს უკეთ განხორციელების მიზნით საკუთარი პროფესიის შესახებ ახალი ცოდნის მიღების საშუალებების დამოუკიდებლად მოძიება და სწავლის დაგეგმვა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულობას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი: კოლეგების შემოქმედებით თუ პროფესიულ უნარებს, პროფესიულ მიღწევებს. კრიტიკულ და არაპროგნოზირებად სიტუაციებში პასუხისმგებლობით</p>

		ეკიდება და მკაცრად იცავს ქორეოგრაფიული შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ყველა წესსა და პროცედურას;
--	--	--

ქორეოგრაფ- რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	აქვს ქორეოგრაფ-რეპეტიტორისათვის აუცილებელი თეორიული საკითხების ცოდნა და საშემსრულებლო - შემოქმედებითი პრაქტიკულ-პროფესიული გამოცდილება. იცნობს მსოფლიო ხალხთა ქორეოგრაფიულ ტრადიციებს, გააზრებული და გაანალიზებული აქვს თანამედროვე მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების მიდწევები, გაცნობიერებული აქვს ტრადიციული და თანამედროვე ქორეოგრაფიის შორის პრინციპული განსხვავება, მისი სტილის, სტრუქტურისა და ჰარმონიის პრინციპები. ფლობს ქორეოგრაფიული ხელოვნების ფართო სპექტრს. ფლობს და გაცნობიერებული აქვს მხატვრულ-ესთეტიკური ხედვა და შეფასების უნარი. აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გაცნობიერებული აქვს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	გამომუშავებული აქვს ქორეოგრაფ-რეპეტიტორის შესაბამისი მაღალპროფესიული უნარი. სრულყოფილად ფლობს მსოფლიო, განსაკუთრებით კლასიკური ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეციფიკას, ფლობს ყველა იმ უნარ-ჩვევას, რომელიც უზრუნველყოფს მის შემდგომ მუშაობას ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. მას აქვს სრულყოფილი ცოდნა, რომელსაც იგი გამოიყენებს მომავალ შემოქმედებით მუშაობაში. ეს ცოდნა ემყარება ქართულ ეროვნულ საწყისებს. ფლობს მრავალწლიან ქართულ ქორეოგრაფიულ შემოქმედებას, ქართული ცეკვის ტრადიციებს, რომელიც შექმნილია ქართული ბუნებისა და ხასიათის, უპირველესად, ქართული ლირიკისა და საცეკვაო მანერების, ქართული მელოდიისა და ჰარმონიული ენის გათვალისწინებით. ამ ფართო სპექტრის საშუალებით ის შეძლებს წამოჭრილი პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტას. იცნობს შემოქმედებითი პედაგოგიკის საფუძვლებს. შესაბამისად, შეუძლია განახორციელოს სწავლებაც შესაბამისი პროფესიული განათლების ქვედა საფეხურებზე. გააჩნია შემოქმედებითი პროექტის რეალიზების (პროგრამის შერჩევიდან - პრაქტიკულ შესრულებამდე) მტკიცე უნარ-ჩვევები. შეუძლია ინდივიდუალური მიდგომა კონკრეტულ ჯგუფის მიმართ კოლექტივის წევრების მონაცემებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციებისა თუ დასკვნების გაკეთება. შეცდომების შესწორება სტანდარტული მეთოდების გამოყენებით.

<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>ინტელექტუალური, პრაქტიკული და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით შეუძლია პრობლემების ამოცნობა და სათანადო მონაცემთა იდენტიფიცირება. სტანდარტული მეთოდების ანალიზის მეშვეობით კი, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, რაც მას დაეხმარება როგორც პირადი შემოქმედებითი უნარების სრულყოფაში, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის საქმეში. იკვლევს და ვიზუალურად გამოხატავს საკუთარ თავს და ინდივიდუალობას, როგორც მოცეკვავე- ხელოვანი. ქორეოგრაფიული კონცეფციები მოძრაობაში გადააქვს.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია პროფესიულ სფეროში არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, შეუძლია პროფესიული იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრული გადაცემა როგორც დარგის პროფესიონალებისათვის, ისე არაპროფესიონალებისათვის. შეუძლია ერთ- ერთ უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა. გეგმავს საკუთარ სამუშაოს, მუშაობის პროცესში შეუძლია საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, საკუთარი აზრის დასაბუთება, გამოცდილების გაზიარება. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო ჯგუფში. მოცეკვავეს ეფექტური, შედეგიანი ურთიერთობის, მორგებისა და საკუთარ ქმედებების დასაბუთების უნარი აქვს ამა თუ იმ პროფესიულ კონტექსტში, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით. საცეკვაო ხელოვნების, ან დადგმის არსისა და ჩანაფიქრის შესახებ თავისუფლად საუბრობს კოლეგებთან, ან ამ სფეროსთან დაკავშირებულ პირებთან. ცეკვის შესახებ შეუძლია საუბარი როგორც დაინტერესებულ მხარეებთან, ისე არასპეციალისტებთან. შეუძლია პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, ცეკვის ისტორიული წარმოშობის, ხასიათის, ელემენტების და ნახაზის ზუსტი ახსნა და ჩვენება, კოსტუმის აღწერა, საკუთარი იდეების გადაცემა. სამუშაო პროცესში ფართოდ იყენებს ინტერნეტს, ვიდეო, და მუსიკალური თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. კარგად ფლობს სპეციალურ ტერმინოლოგიას ფრანგულ ენაზე. შეუძლია უცხოურ ენაზე ინფორმაციის წაკითხვა, დამუშავება, გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>

<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>დამოუკიდებლად შეუძლია ახალი მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის – შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა, რეპერტუარის შერჩევა, სამუშაო პროცესში აუცილებლად იყენებს საგნის პროგრამასა და მეთოდურ ლიტერატურას, უცხოურ ენაზეც კი.</p> <p>შეუძლია თვითგანვითარების მიზნით საკუთარი სწავლების პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი განვითარებისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. შეუძლია სწავლების განხორციელება, შესაბამისი პროფესიული ცოდნისა და უნარების ეფექტურად გამოყენება სწავლების მიზნით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p>	<p>შეუძლია თვითგანვითარების მიზნით საკუთარი სწავლების პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი განვითარებისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. სასწავლო პროცესის დახვეწის მიზნით, შეუძლია აუცილებლობით გამოწვეული გამოკითხვებისა და ინტერაქტივების წარმოება. სრულყოფილ, მრავალმხრივ განვითარებულ მაღალკვალიფიციურ ქორეოგრაფ-რეპეტიტორს შეუძლია შემოქმედებითი პროექტის შემუშავება და განხორციელება ჯგუფთან ერთად. პროფესიულ კონტექსტში პასუხისმგებელია სხვების საქმიანობაზე. აფასებს კოლეგებისა თუ შეგირდების უნარებსა და პროფესიონალიზმს და ხელს უწყობს მათ წარმოჩენასა და შემდგომ განვითარებას. საკუთარი გამოცდილებით და ცოდნით შეუძლია ერთობლივ პროდუქციაში ან პროცესში აქტიური წვლილის შეტანა. საკუთარი საქმის და ფუნქციის ცოდნით შესამჩნევი წვლილი შეაქვს თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში, რომელიც მხატვრული პროდუქციის რეალიზაციისათვისაა აუცილებელი.</p> <p>პასუხისმგებლობით ეკიდება და აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებისადმი: პედაგოგიური ეთიკა, ორგანიზაციული ნიჭი, შრომისმოყვარეობა, საგნის ღრმა ცოდნა - და უზიარებს სხვებს.</p>